ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრი

ბორჯომის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი დაარსდა 1987 წლის 23 დეკემბერს კულტურის სამინისტროს მიერ. მისი პირველი დირექტორი და რეჟისორი გახდა ზურაბ ქალიაშვილი, რომლის სახელსაც უკავშირდება ბორჯომში თოჯინების თეატრის დაარსება. თეატრში დადგმული პირველი სპექტაკლი მაყვალა გონაშვილის პიესა "ცია, ოცნება და ცირკი"იყო, რომელიც მაყურებელმა ძალიან კარგად მიიღო.

თეატრის დასის შემადგენლობაში შედიოდნენ: მ. გულიაშვილი, მ. მიკირტიჩიანი, მ. მელიქოვი, მ. ბლიაძე, მ. კობახიძე, მ. უთქმელიძე, ლ. წიქარიშვილი., ნ. ყირიმიშვილი, ქ. მეტრეველი, გ. თივთიკიანი, ზ. ქართველიშვილი, გ. ახვლედიანი, ნ. ლომსაძე, ლ. ჩინჩალაძე, რ. ხაჩიძე.

სხვადასხვა დროს წარმოდგენებს დგამდნენ რეჟისორები ზურაბ ქალიაშვილი, ნოდარ იონათამიშვილი, პაატა ცუცქირიძე, შოთა ცუცქირიძე, მედეა ჭიჭილეიშვილი, ვახტანგ გიგინეიშვილი, ანდრო ბალახაძე, ლევან გაბრიჭიძე, რევაზ ბაინაზიშვილი, დავით ჯიშკარიანი, ავთანდილ პაპიძე და სხვ.

თეატრის რეპერტუარი გამდიდრდა შემდეგი სპექტაკლებით - "ცისფერი მარგალიტი", "ოქროს წიწილა", "ბატის ჭუკი", "ბუტია", "სიურპრიზი", "ალხანა და ჩალხანა", "მეფე, ვეზირი და პეპელა", "ღორმუცელა ჟირაფი", "ბუ და პატარა ობობა", "კარუსელი", "პირიმზე" და სხვ.

ბორჯომის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი არაერთხელ გამხდარა სხვადასხვა ფესტივალის ლაურეატი და კონკურსის გამარჯვებული.

თეატრი მდებარეობს ბორჯომში, კოსტავას ქუჩა №3. დირექტორი ქეთევან სირაძეა, სამხატვრო ხელმძღვანელი შალვა გოგოლაძე.

ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მრავალფეროვანი რეპერტუარი დღესაც დიდ სიხარულს ანიჭებს ნორჩ მაყურებელს.

საარქივო მასალა

1. ბორჯომის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულება თოჯინებისა და მარიონეტების თეატრის მოწყობის შტაბის შემადგენლობასთან დაკავშირებით. 1987 წ. 20 თებერვალი. ნაბეჭდი. ასლი. ხელს აწერს ბორჯომის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ნაყულაშვილი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

2. გაზეთ "კომუნისტში" მარინე კუპატაძის გამოქვეყნებული სტატია "გაიხარეს პატარებმა" ,ბორჯომის თოჯინების თეატრის სპექტაკლ "ცია, ოცნება და ცირკთან" დაკავშირებით. 1987 წ. 17 მარტი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

3. გაზეთ "სოფლის ცხოვრებიდან" თ. ხუხუნაიშვილის გამოქვეყნებული სტატია "გზა დავულოცოთ თეატრს". 1987 წ. 20 მარტი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

4. ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრის ფოტო სპექტაკლიდან "ცია, ოცნება და ცირკი". 1987 წ. მარტი. ქსერო ასლი. 1 ც.

5. ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრის დასის ფოტო სპექტაკლ “ცია, ოცნება და ცირკის” პრემიერასთან დაკავშირებით.
პირი – მ. კობახიძე, მ. მკრტჩიანი, მ. მელიქოვი, ნ. ლომსაძე.
1987 წ. მარტი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

6. ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრის ფოტო სპექტაკლიდან “ცია, ოცნება და ცირკი”.
1987 წ. მარტი. ქსერო ასლი. 1 ც.

7. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ი. გამრეკელის ბრძანება ამავე სამინისტროსადმი, ბორჯომში თოჯინების თეატრის დაარსებასთან დაკავშირებით.
1987 წ. 23 დეკემბერი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

8. ბორჯომის თოჯინებისა და მარიონეტების თეატრის პირველი წარმოდგენის “ცია, ოცნება და ცირკის” ფოტო.
1987 წ. სტამბური. 1 ც.

9. ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრის პროგრამა “ცია, ოცნება და ცირკი”.
რეჟისორი – ზ. ქალიაშვილი. მხატვარი –ი. ქააძე.
1987 წ. სტამბური. 1 ც. 2 ეგზ.

10. საქართველოს სსრ კულტურის მინისატრ ვ. ასათიანის მიმართვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველ მდივან თ. პეტრიაშვილსა და სახალხო დეპუტატების ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. შაყულაშვილისადმი, ბორჯომის თოჯინების თეატრის შენობასთან დაკავშირებით.
1988 წ. 14 აპრილი. ნაბეჭდი. 2 გვ.

11. რუსულ ჟურნალ “თეატრში” ა. კრუგლიაკის გამოქვეყნებული სტატია ბორჯომის თოჯინების თეატრთან დაკავშირებით.
1988 წ. 12 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

12. ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრის რუმინეთში, სიბუს თეატრში გადაღებული ფოტო. (პრესიდან ამონარიდი).
1988 წ. რუმინეთი. ასლი. 1 ც.

13. ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრის პროგრამა “ცისფერი მარგალიტი”.
რეჟისორი – ნ. იონათამიშვილი. მხატვარი – ზ. ტეკაევი.
1988 – 1989 წწ. სტამბური. 1 ც.

14. ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრის პროგრამა “ოქროს წიწილა”.
რეჟისორი – ზ. ქალიაშვილი. მხატვარი – ზ. ტეკაევი.
1988 – 1989 წწ.ხელნაწერი. მელანი. 1 ც.

15. ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრის დირექტორ რ. ცუცქირიძის ბრძანება ამავე თეატრისადმი, ახალ წარმოდგენებზე მუშაობისთვის შემოქმედებითი დასის დამტკიცებასთან დაკავშირებით.
1989 წ. ნაბეჭდი. ასლი. 2 გვ.

16. ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრის დასის ფოტო.
1989 წ. ბორჯომი. ასლი. 1 ც.

17. გაზეთ “ბორჯომში” გამოქვეყნებული რობერტ ცუცქირიძის სტატია “სიკეთე რეკლამისათვის”.
1990 წ. 10 თებერვალი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

18. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ გაცემული ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრის დამაარსებელი ზურა ქალიაშვილის დახასიათება.
1990 წ. 2 მარტი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

19. გაზეთ “თეატრალურ მოამბეში” გიორგი ცქიტიშვილის გამოქვეყნებული სტატია “იარსებებს თუ არა თეატრი?”
1990 წ. ნაბეჭდი. 2 გვ.

20. გაზეთ “ბორჯომში” საჩხერის რაიონის მაცხოვრებლების ლამარა მაფრინაშვილი, მაია ზაქაშვილი და სხვა მშობელთა გამოქვეყნებული სამადლობელო სტატია “ნორჩები გაახარეს”.
1991 წ. 11 ივლისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

21. ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრის დირექტორ ლ. წიქარიშვილის მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრ ვალერი ასათიანსა და საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე გიგა ლორთქიფანიძისადმი, ბორჯომის თოჯინების თეატრის რეჟისორ ზურა ქალიაშვილის თეატრში დაბრუნებასთან დაკავშირებით.
1996 წ. 5 აგვისტო. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს ლ. წიქარიშვილი. 1 გვ.

22. ჟურნალ “თეატრი და ცხოვრებაში” ვ. ძიგუას გამოქვეყნებული სტატია “პირველად საქართველოში”.
1996 წ. ნაბეჭდი. 1 გვ.

23. ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრის პროგრამა “კარუსელი”.
რეჟისორი – მ. ჭიჭილეიშვილი. მხატვარი –პ. დიასამიძე.
2001 – 2002 წწ. სტამბური. 1 ც.

24. კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორ გ. ბლიაძის მისასალმებელი სიტყვა გურჯაანის ფესტივალზე.
უთარიღო. გურჯაანი. ნაბეჭდი. ერთვის თეატრის ისტორია. 5 გვ.

25. ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრის თანამშრომელთა განცხადება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილისადმი, ამავე თეატრის შენობასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდი. ასლი. 2 გვ.

26. ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრის ისტორია.
უთარიღო. ნაბეჭდი. 3 გვ. 2 ეგზ.